მწვანე ალტერნატივა

გარემოსდაცვითი და სოციალური
სამართლიანობისთვის
საქართველოში

მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები

შპს "ჯორჯია მეტალის"
მეტალურგიული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის თაობაზე

18 ოქტომბერი, 2021

წარმოგიდგენთ მწვანე ალტერნატივას შენიშვნებს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვებ-გვერდზე 2021 წლის 27 აგვისტოს საჯარო განხილვისათვის გამოქვეყნებულ ზესტაფონის მუნიციპალიტეტში, სოფ. არგვეთაში შპს "ჯორჯია მეტალის" მეტალურგიული საწარმოს პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშზე. პროექტთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოება, საწყის ეტაპზევე მთელი რიგი დარღვევებით წარიმართა. კერძოდ:

1. თავდაპირველად, პროექტთან დაკავშირებული სკოპინგის ანგარში 2019 წლის 27 დეკემბერს გამოქვეყნდა და 2020 წლის 21 იანვარს ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ ქვედა საქარის საბჭოს შენობაში ჩატარდა შპს „ჯორჯია მეტალის" მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა, რომელსაც მწვანე ალტერნატივას წარმომადგენელიც ესწრებოდა.

საწარმოდან მოსახლეობის მცირე მანძილით დაშორების გამო (დაშორება უახლოესი საცხოვრებელი სახლიდან მხოლოდ 40 მეტრია), ადგილობრივმა მოსახლეობამ წერილობით მიმართა გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასევე ადგილობრივ მუნიციპალიტეტს და მოითხოვა საქმიანობაზე ადმნისტრაციული წარმოების შეწყვეტა.

2020 წლის 23 იანვარს მწვანე ალტერნატივამ ასევე გაუგზავნა შენიშვნები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, სადაც აღწერილი იყო განსახილველად გამოქვეყნებული სკოპინგის ანგარიშის ნაკლოვანებები.

2020 წლის 19 თებერვალს სამინისტრომ გამოაქვეყნა მისი 13 თებერვლის წერილი, რომლითაც კომპანიას შეატყობინა წარდგენილი დოკუმენტაციის ნაკლოვანებებისა და დოკუმენტის მიმართ დაგეგმილი საქმიანობის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული მოსახლეობისა და მწვანე ალტერნატივას მიერ წარდგენილი შენიშვნების შესახებ და შეწყვიტა ადმინისტრაციული წარმოება. კომპანიას დაევალა სამინისტროს, ადგილობრივი მოსახლეობისა და მწვანე ალტერნატივას შენიშვნების განხილვა და განახლებული სკოპინგის ანგარიშის მომზადება. საწყის ეტაპზევე, განხილვის პროცესი სრულიად აცდენილი იყო გარემოსდაცვითი კოდექსით დადგენილ პროცედურას, რადგან სამინისტრომ იხელმძღვანელა „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" ძალადაკარგული კანონით დადგენილი პროცედურით. არათუ შეაფასა და მიიღო გადაწყვეტილება წარდგენილ დოკუმენტაციაზე, არამედ კომპანიას მისცა მითითება როგორ 'დაეხვეწა' დოკუმენტი, რათა შემდგომში მასზე შესაძლებელი ყოფილიყო დადებითი გადაწყვტილების მიღება - აღნიშნული, სრულად სცდება სამინისტროს უფლებამოსილებას და კანონის მნიშვნელოვანი დარღვევაა.

თბილისი, 0179, საქართველო
ფალიაშვილის ქ. 39b, IV სართ.
+(995 32) 222 38 74
greenalt@greenalt.org
www.greenalt.org

2. 2020 წლის მარტის თვეში დახმარების თხოვნით მოგვმართა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის, სოფელ არგვეთის მოსახლეობამ. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას არ ჰქონდა არც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და არც მშენებლობის ნებართვა, ადგილობრივ მაცხოვრებლთა განმარტებით, სოფელ არგვეთაში დაწყებული იყო შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მშენებლობა. სოფ. არგვეთის მაცხოვრებლებმა და მწვანე ალტერნატივამ გარემოზე ზედამხედველობის ცხელ ხაზზე არაერთხელ დააფიქსირეს საჩივარი. ასევე, 2020 წლის 19 მარტს, მწვანე ალტერნატივამ წერილობით მიმართა სსიპ ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს. წერილის პასუხად მივიღეთ განმარტება, რომ საწარმოს მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ ოქმი, რომელიც თანდართული მასალებით განსახილველად გადაგზავნა სასამართლოს. მიუხედავად ყველაფერისა, როგორც მოსახლეობა პერიოდულად გვატყობინებდა საწარმოს მშენებლობა მაინც გრძელდებოდა. შპს „ჯორჯია მეტალი“ უგულებელყოფდა მოსახლეობის ინტერესებს და უხეშად არღვევდა კანონს.

3. 2020 წლის 28 აპრილს კვლავ გამოქვეყნდა შპს „ჯორჯია მეტალის“ მეტალურგიული საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის განცხადება. რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში შექმნილი ეპიდსიტუაციის გამო, პროექტის სკოპინგის განცხადებაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება **საჯარო განხილვის ჩატარების გარეშე განხორციელდებოდა.** დაინტერესებულ საზოგადოებას **მხოლოდ წერილობითი შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა მიეცა.**

2020 წლის 20 მაისს მწვანე ალტერნატივამ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს წარუდგინა სკოპინგის ანგარიშთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები, სადაც აღწერილი იყო კომპანიის მიერ კანონდარღვევის ფაქტი. ორგანიზაცია სამინისტროს მხრიდან სათანადო რეაგირებას ითხოვდა.

მიუხედავად ამისა, გარემოსდაცვითი შეფასების დეპარტამენტმა მაინც განაგრძო ადმინისტრაციული წარმოება და მინისტრის 2020 წლის 16 ივნისის #2-497 ბრძანებით გაიცა სკოპინგის დასკვნა.

4. 2021 წლის 27 აგვისტოს გამოქვეყნდა შპს “ჯორჯია მეტალის” მეტალურგიული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების (გზშ) ანგარიში და 2021 წლის 8 ოქტომბერს სოფელ ქვედა საქარის საბჭოს შენობაში ჩატარდა სკოპინგის ანგარიშის საჯარო განხილვა. მიუხედავად იმისა, რომ კომპანიას ამ ეტაპზე არ გააჩნია არც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება და არც მშენებლობის ნებართვა საწარმოს მშენებლობა თითქმის უკვე დასრულებულია და ტერიტორიაზე დანადგარების დიდი ნაწილია შეტანილი. საჯარო განილვაზე, საკონსულტაციო კომპანიის (შპს „სამნი“) წარმომადგენელი მთელი პრეზენტაციის განმავლობაში განიხილავდა პროექტის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტს და არცერთხელ არ უხსენებია, რომ საწარმოს მშენებლობა თითქმის დასრულებულია. სამინისტროს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მშენებლობის ფაქტის შესახებ ინფორმაციას არ ფლობდა და საპროექტო ტერიტორიაზე გასვლას საჯარო განხილვის დასრულების შემდეგ გეგმავდა. სამინისტროსათვის უკანონო მშენებლობის ფაქტი, როგორც აღვნიშნეთ, ჯერ კიდევ სკოპინგის ეტაპზე იყო ცნობილი, შესაბამისად, განცხდების მიღებისთანავე უნდა უარი უნდა ეთქვა წარმოების დაწყებაზე და მოეხდინა სათანადო რეაგირება. სამინისტრო, საქმის კურსში იქნებოდა გზშ ეტაპზეც, საჯარო განხილვის შესახებ განცხადებები პროექტის განხორციელების ადგილზე კანონით დადგენილი წესით რომ გამოექვეყნებინა.

5. საჯარო განხილვამდე მწვანე ალტერნატივას თანამშრომლები იმყოფებოდნენ სოფელ არგვეთაში. როგორც მოსახლეობასთან საუბრისას გაირკვა, პროექტის ზეგავლენის ქვეშ მოქცეული მოსახლეობა დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ ინფორმაციას საერთოდ არ ფლობდა. **განცხადებები,**

დაგეგმილი საჯარო განხილვის შესახებ არ ყოფილა გამოკრული არსად. მას შემდეგ, რაც ადგილობრივმა მოსახლეებმა დაგეგმილი განხილვის შესახებ შეიტყვეს შეხვედრაზე დასწრების სურვილი გამოთქვეს, თუმცა იმის გამო, რომ განხილვა ტარდებოდა სოფ. ქვედა საქარაში, მნიშვნელოვანი მანძილით დაშორების გამო, წასვლა ფიზიკურად ვერ შეძლეს. ამის თაობაზე, ჯერ კიდევ სკოპინგის ეტაპზე, როგორც ადგილობრივებმა, ასევე მწვანე ალტერნატივამ წერილობით მიმართეს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მოითხოვეს საჯარო განხილვის სოფ. არგვეთაში ჩატარება; თუმცა სამინისტროს აღნიშნული არ გაუთვალისწინებია. შესაბამისად, **მოსახლეობას არც სკოპინგის და არც გზშ ეტაპზე არ მიეცა პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა.**

დასკვნა

ყოველივე ზემოაღნიშნულის საფუძველზე მიგვაჩნია, რომ სამინისტრომ უნდა შეწყვიტოს შპს "ჯორჯია მეტალის" მეტალურგიული საწარმოს გარემოზე ზემოქმედების ანგარიშის თაობაზე დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება, ვინაიდან საქმიანობა არ ხვდება გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის რეგულირების ფარგლებში. გარდა ამისა, სამინისტრომ უნდა:

- მოახდინოს სათანადო რეაგირება საწარმოს უკანონო მშნებლობის ფაქტზე;
- დაავალდებულოს კომპანია აღადგინოს გარემო პირვანდელ მდგომარეობამდე;
- მიმართოს შესაბამის უწყებას უკანონო მშენებლობის ფაქტზე;
- მიიღოს შესაბამისი ადმინისტრაციული ზომები საჯარო განხილვის შესახებ განცხადებების ადგილზე გავრცელებაზე პასუხისმგებელი პირების მიმართ.